



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“27 “თებერვალი” 2018 წელი
№22/36

“ვამბიძე”

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
ნოე ქაშიბაძე

ეგზ. 2

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლებისა და კულტურის
სამინისტროს ფინანსური აუდიტის
ანგარიში

01.01.2017-31.12.2017 წლის საანგარიშგებო პერიოდისთვის

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	3
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	6
▪ 1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	6
▪ 1.2 პირობითი მოსაზრების საფუძვლები	6
2. სხვა გარემოებები	9
▪ 2.1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა	9
▪ 2.2 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება.....	9
▪ 2.3 საბიუჯეტო დეფიციტის მართვა	11
▪ 2.4 ხელფასის დარიცხვის საფუძვლები.....	12
▪ 2.5 სახელმწიფო შესყიდვები	12
▪ 2.6 პროგრამების შესრულება.....	13
▪ 2.7 წინა წლებში ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა.....	13
3. სამინისტროს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	15
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.....	16
5. დანართები - სამინისტროს (კოდი: 06 00) ფინანსური ანგარიშგება	18

ტერმინთა განმარტება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო -
სამინისტრო;


აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი -
მინისტრი;

სსიპ - გ. ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა - კაპელა.

ინფორმაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შესახებ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად მოქმედებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. სამინისტრო არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის, აფხაზეთის კულტურული ფასეულობების (მატერიალური და არამატერიალური ძეგლების) დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებში ერთიანი პოლიტიკის გამტარებელი ორგანო.

სამინისტროს სტრუქტურა



სამინისტროს სისტემისათვის (კოდი: 06 00) გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებები გათვალისწინებულია სამინისტროს აპარატისა და 10 პროგრამის დასაფინანსებლად. კერძოდ:

ცხრილი №1. აპარატისა და პროგრამების საბიუჯეტო ასიგნებები (ლარებში)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	ასიგნება	ხვ. წილი (%)
06 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო	3,206,011.00	100
06 01	განათლებისა და კულტურის სამინისტროს ცენტრალური აპარატი	844,386.00	26.34
06 02	ზემო აფხაზეთის რესურსცენტრი	45,285.00	1.41
06 03	გალის რაიონის რესურსცენტრი	119,305.00	3.72
06 04	განათლების ხელშეწყობის პროგრამა	158,247.00	4.94
06 05	აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა	16,823.00	0.52
06 06	სამშვიდობო და სამოქალაქო განათლების მხარდაჭერის პროგრამა	2,960.00	0.09
06 07	კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამა	49,640.00	1.55
06 08	სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა	23,000.00	0.72
06 09	გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ - ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება	147,900.00	4.61
06 10	კულტურულ ფასეულობათა დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამა	10,235.00	0.32
	სხვა დანარჩენი სსიპ-ები (11 ერთეული) და ა(ა)იპ-ები (2 ერთეული)	1,788,230.00	55.78

ცხრილი №2. სამინისტროს აპარატის 2017 წლის ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები (ლარებში)

პროგრ. კოდი	დასახელება	2017 წ. დამტკიცებული ბიუჯეტი	2017 წ. დაზუსტებული ბიუჯეტი	2017 წ. საკასო ხარჯი	სხვაობა დაზუსტ- დამტკ.	შესრ.%
06 01	ცენტრ. აპარატი სულ	844,386.00	851,586.00	847,256.44	7,200.00	99.49%
	ხარჯები	836,386.00	846,887.00	842,557.44	10,501.00	99.49%
	შრომის ანაზღაურება	602,040.00	617,940.00	617,421.56	15,900.00	99.92%
	საქონ. და მომსახ.	232,941.00	224,342.00	220,534.46	-8,599.00	98.30%
	გრანტები	0.00	1,200.00	1,200.00	1,200.00	100.00%
	სოც. უზრუნვ.	605.00	605.00	601.42	0.00	99.41%
	სხვა ხარჯ.	800.00	2,800.00	2,800.00	2,000.00	100.00%
	არაფინანს. აქტ. ზრდა	8,000.00	2,200.00	2,200.00	-5,800.00	100.00%
	ვალდებულების კლება	0.00	2,499.00	2,499.00	2,499.00	100.00%

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს
ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს (პროგრამული კოდი: 06 00) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას (ბალანსს) 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით - ბალანსის დანართი ფორმა №2, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-1, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №2-2, წმინდა ღირებულების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №3, არასაბიუჯეტო საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №4, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №5, არასაოპერაციო შემოსავლებისა და არასაოპერაციო ხარჯების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ - ბალანსის დანართი ფორმა №5-1, ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე - ბალანსის დანართი ფორმა №6, ორგანიზაციების ანგარიშებზე რიცხული ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოშობის წლების მიხედვით - ფორმა №7, ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხული ვალდებულებები წარმოშობის წლების მიხედვით - ფორმა №8, ინფორმაცია ფინანსური აქტივების და მოთხოვნების შესახებ დებიტორების მიხედვით - ფორმა №9, ინფორმაცია ვალდებულებების შესახებ კრედიტორების მიხედვით - ფორმა №10.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძველზე აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველები

1.2.1 აქტივების აღრიცხვა

- 2017 წელს სამინისტრომ ჯამში მიიღო 179,955.27 ლარის ღირებულების (სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან უსასყიდლოდ - 179,555.27 ლარი, შესყიდვით - 400.00 ლარი) გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივი, რომელთა გასვლა აღირიცხა „სხვა ხარჯების“ მუხლში. როგორც დადგინდა, ზემოაღნიშნული აქტივებიდან 164,649.00 ლარის ღირებულების აქტივები გადაეცა სსიპ - საჯარო სკოლებს (შემდეგში - სკოლები) და გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს (შემდეგში - რესურსცენტრი), ხოლო 15,306.27 ლარის ღირებულების აქტივები დარჩა სამინისტროს განკარგულებაში. დადგენილი კანონმდებლობის თანახმად, სკოლებსა და რესურსცენტრზე (სხვა სახელმწიფო ერთეულებზე) გადაცემული აქტივების გასვლა უნდა აღრიცხულიყო „გრანტების“¹ მუხლით, ხოლო გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება, როგორც გასვლა - „საქონელი და მომსახურებით“². ამდენად, ბალანსის დანართ ფორმა №2-ში, ფორმა №3-სა და ფორმა №5-ში მცირეფასიანი გრძელვადიანი აქტივების გასვლის შესახებ ინფორმაცია, წარმოდგენილი იყო არაზუსტად და არასწორად³.
- 2017 წელს სამინისტრომ შეიძინა და სხვა სახელმწიფო ერთეულისგან უსასყიდლოდ მიიღო ჯამში 42,349.91 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგი, რომელთა გასვლა გატარდა „სხვა ხარჯების“ მუხლში. როგორც გაირკვა, ზემოაღნიშნული აქტივებიდან 25,210.50 ლარის ღირებულების მარაგები უსასყიდლოდ გადაეცა საჯარო სკოლებს და სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციას (სხვა სახელმწიფო ერთეულებს), ხოლო 1,965.60 ლარის ღირებულების მარაგები სამინისტრომ გამოიყენა (გამართული ღონისძიებების ფარგლებში) საკუთარი მიზნებისთვის. დადგენილი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო ერთეულებზე გადაცემული მარაგები უნდა აღრიცხულიყო „გრანტების“ მუხლით⁴, ხოლო საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებული მარაგები უნდა ასახულიყო, როგორც გასვლა - „საქონელი და მომსახურებით“⁵. ამრიგად, ბალანსის დანართ ფორმა №2-ში, ფორმა №3-სა და ფორმა №5-ში მარაგების გასვლის შესახებ ინფორმაცია ნაჩვენებია იყო არაზუსტად და არასწორად⁶.

1 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი, მე-20 მუხლის მე-7 პუნქტი, 38-ე მუხლის მე-5 პუნქტი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“, თავი IV.

2 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი, მე-20 მუხლის მე-8 პუნქტი.

3 საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 29-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტები.

4 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-7 პუნქტი, 38-ე მუხლის მე-5 პუნქტი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“, თავი IV.

5 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-20 მუხლის მე-8 პუნქტი.

6 საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 29-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტები.

1.2.2 გრანტები

2017 წელს დამტკიცებული ქვეპროგრამის (კოდი: 06 07 10) „ქართულ-აფხაზური კულტურის პოპულარიზაციის“ ფარგლებში სამინისტრომ აუდიოდისკის - „მაესტროს“ გამოცემის დაფინანსების მიზნით, კაპელას ჩაურიცხა 2,350.00 ლარი. საკასო ხარჯი გაწეულ იქნა საბიუჯეტო კლასიფიკატორის მუხლით (263221) „მიმდინარე გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის სსიპ(ებ)-ს / ა(ა)იპ(ბ)-ს“. აღნიშნული ოპერაცია ბუღალტრულ რეგისტრებში დებეტი (7600) „გრანტების“⁷ ნაცვლად, არასწორად გატარდა მუხლში - (1431) „მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“⁸, (1250) „ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის“ კრედიტთან მიმართებაში. ვინაიდან დაფინანსების ფარგლებში ჩასაწერი დისკი უნდა დარჩენილიყო კაპელის საკუთრებაში (ბალანსზე), გაწეული გრანტი სამინისტროსთვის წარმოდგენდა როგორც საკასო, ისე ფაქტობრივ ხარჯს. თუმცა, განხორციელებული გრანტი ბალანსის დანართ ფორმა №2-ში ფაქტობრივ ხარჯად არ ასახულა, ხოლო ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-ში - 2,350.00 ლარი არასწორად აღირიცხა მუხლში - (1431) „მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“⁹, რომელიც შინაარსობრივად არ შეესაბამებოდა განხორციელებულ ოპერაციას. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების ფორმა №1-ში, ბალანსის დანართ ფორმა №3-ში, ფორმა №7-სა და ფორმა №9-ში ინფორმაცია დებიტორული დავალიანებების, ხოლო ბალანსის დანართ ფორმა №2-ში - ფაქტობრივი ხარჯების შესახებ, წარმოდგენილი იყო არაზუსტად და არასწორად¹⁰. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბალანსში წარმოდგენილი ინფორმაცია წმინდა ღირებულების შესახებ გაზრდილი იყო 2,350.00 ლარით.

ამრიგად, პირობითი მოსაზრების საფუძველში წარმოდგენილი საკითხებიდან გამომდინარე, 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივებისა და დებიტორული დავალიანებების აღრიცხვის კუთხით წარმოდგენილი ინფორმაცია უტყუარად (სწორად), სრულად და საიმედოდ ვერ ასახავს რეალურ მდგომარეობას¹¹.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობები დეტალურად არის აღწერილი ანგარიშის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ სამინისტროსაგან დამოუკიდებელი აუდიტორები.

7 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი.

8 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-13 მუხლის 36-ე პუნქტი.

9 საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-13 მუხლის 36-ე პუნქტი.

10 საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტები.

11 საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები.

ამასთანავე, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

2. სხვა გარემოებები

2.1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

- სამინისტროს მიერ აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში ჩაბარებული¹² 2017 წლის ფინანსური ანგარიშგება არ იყო მომზადებული დადგენილი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად¹³. კერძოდ, წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებული იყო წინა პერიოდში მოთხოვნილი (ე.წ.ძველი) ფორმებით¹⁴, რის გამოც ბალანსში და მის დანართ ფორმებში ინფორმაციები არ იყო წარმოდგენილი სრულად და შესაბამისად¹⁵;
- ბალანსის დანართ ფორმა №2-ში (22) „საქონელი და მომსახურების“ ჯამურ მუხლში ფაქტობრივ ხარჯად 237,374.46 ლარის ნაცვლად, შეცდომით იყო ნაჩვენები - 255,333.23 ლარი. აღნიშნული ხარვეზი აუდიტის მსვლელობისას გამოსწორდა;¹⁶
- ბალანსის დანართ ფორმა №6-ში საანგარიშო პერიოდში სულ ჯამში გაწეული საკასო და ფაქტიური ხარჯების შესახებ ინფორმაციაში 18,365.60 ლარის ნაცვლად ნაჩვენები იყო 17,901.60 ლარი, ვინაიდან ჯამურ თანხაში არ იყო შეყვანილი საპოხი მასალების შემენის ხარჯი - 464.00 ლარის ოდენობით. ამდენად, სატრანსპორტო საშუალებებზე გახარჯული ჯამური თანხა წარმოდგენილი იყო არასრულად და უზუსტოდ.¹⁷

2.2 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

იმ პირობებში, როდესაც სამინისტროში შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა ფაქტობრივად შეადგენდა 50 ერთეულს, 2017 წელს, მთელი წლის განმავლობაში (8-12 თვე), დასაქმებული იყო შტატგარეშე 18 მომუშავე (ანუ შტატით მომუშავეთა 32%) და მათზე ანაზღაურდა 120,856.92 ლარი, რაც სამინისტროში „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გაწეული ფაქტობრივი ხარჯების (237,374.46 ლარის) 50.91 %-ია, ხოლო შტატით მომუშავეთა

¹² მინისტრის 2018 წლის 18 იანვარის № MES 6 18 00050599 წერილი აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს.

¹³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის №483 „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ბრძანების პირველი მუხლის, პირველი პუნქტის, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები, მე-2 პუნქტი და მე-2 მუხლი.

¹⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის №483 „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ბრძანების პირველი მუხლის, პირველი პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁵ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები.

¹⁶ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები.

¹⁷ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-5 პუნქტები.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯების (617,421.56 ლარის) 19.57 %.

წარმოდგენილი ინფორმაციით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება განპირობებული იყო შესაბამისი სამსახურების ოპერატიულად და გამართულად ფუნქციონირების აუცილებლობიდან გამომდინარე. თუმცა, სამინისტროს აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად ზემდგომი ორგანოსათვის დამატებითი საშტატო ერთეულის გამოყოფის მოთხოვნით არ მიუმართავს.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად¹⁸, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნული ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. თუმცა, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ, სამინისტროში 15 შტატგარეშე პირი (მძღოლის და დამლაგებლების გარდა) აყვანილი იყო 2017 წლის გარკვეული პერიოდით (10 თვე) ან მთელი პერიოდის განმავლობაში (12 თვე) მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და მათზე ანაზღაურდა - 102,852.38 ლარი (თვეში საშუალოდ 490-590 ლარი). ამასთანავე, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 2017 წელს მომუშავე 15 შტატგარეშე მოსამსახურე (მძღოლის და დამლაგებლების გარდა) სამინისტროში მუშაობდა 2016 წელსაც (12 თვით) და ყველა მათგანი ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს).

გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, შტატგარეშე მოსამსახურეებზე ვრცელდებოდა სამინისტროს შინაგანაწესით გათვალისწინებული ვალდებულებები, თუმცა 2017 წლის „მოსახურეთა სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაო ადგილის დატოვების ჟურნალში“ 6 მათგანის (დამლაგებლები, მძღოლი, დარაჯი, კურიერი და საგამოფენო დარბაზის კოორდინატორი) აღრიცხვა საერთოდ არ მომხდარა¹⁹, გარდა აღნიშნულისა, 2017 წელს დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეების მიერ კონკრეტული შესრულებული სამუშაოს, გაწეული მომსახურების შესახებ ანგარიშის (ანგარიშგების) ოფიციალურად დადასტურებული რაიმე სახის დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომლითაც დადგინდებოდა შესრულებული კონკრეტული სამუშაოს (მომსახურების) შედეგი და აქედან მიღებული სარგებელი, არცერთი შტატგარეშე მოსამსახურის შემთხვევაში არ იყო წარმოდგენილი, ამასთანავე, არც გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით ყოფილა შესრულებული სამუშაოს ანგარიშის წარმოდგენის შესახებ მოთხოვნა. საქმისწარმოების ელექტრონულ ბაზაში შტატგარეშე მოსამსახურეებთან დაკავშირებით ფიქსირდებოდა მხოლოდ შვებულებაში გასვლის, საწვავის გამოყოფასთან (მძღოლის შემთხვევაში) და აუდიტორული შემოწმების შედეგად შედგენილი ანგარიშების წარდგენასთან (2 შტატგარეშე მოსამსახურის შემთხვევაში) დაკავშირებული მოხსენებითი ბარათები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივად ვერ დასტურდება (ვერ დგინდება) შტატგარეშე მომუშავეთა დასაქირავებლად გახარჯული სახსრების ეკონომიური, ეფექტიანი და პროდუქტიული მართვა²⁰.

¹⁸ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლი; 23-მე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

¹⁹ 2017 წელს მოქმედი შტატგარეშე მოსამსახურეებთან გაფორმებული ხელშეკრულებების პირველი მუხლის 1.2 პუნქტი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2009 წლის 03 დეკემბრის №637/მ ბრძანებით დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შინაგანაწესის“ მე-12 მუხლი.

²⁰ საქართველოს კანონის - „სახელმწიფო შიდა კონტროლის შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

2.3 საბიუჯეტო დეფიციტის მართვა

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების შესაბამისად, „შრომის ანაზღაურების“ და „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლებით 2017 წელს გაწეული ხარჯი თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის არ უნდა ყოფილიყო 2014 წლის ანალოგიური მუხლის საკასო ხარჯზე მეტი. თუმცა იმ პირობებში, როდესაც არსებითად არ გაზრდილა ორგანიზაციის ფუნქციები და კომპეტენცია, სამინისტროს მიერ 2017 წელს შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება გაიზარდა 7%-ით, ხოლო შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 68%-ით²¹. ამავე პრინციპების გათვალისწინებით მოხმარებული საწვავის ხარჯები 2014 წლის საკასო ხარჯთან შედარებით უნდა შემცირებულიყო არანაკლებ 30%-ით, ხოლო წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსება - არანაკლებ 20%-ის ფარგლებში. თუმცა 2017 წელს სამინისტროს მიერ მოხმარებული საწვავის ხარჯები შემცირდა მხოლოდ 19%-ით²², ხოლო წარმომადგენლობითი ხარჯები 7%-ით²³.

აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ცხრილი №3. ცვლილება 2017 და 2014 წლების საკასო ხარჯებს შორის (ლარებში)

№	ხარჯები	2014 წლის საკასო ხარჯი	2017 წლის საკასო ხარჯი	% 2017/2014
1.	შრომის ანაზღაურება	579,642.00	617,421.56	7%
1.1	თანამდებობრივი სარგო	527,737.00	540,251.56	2%
1.2	პრემია	51,905.00	74,170.00	43%
1.3	დანამატი	0.00	3,000.00	100%
2.	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	71,788.00	120,856.92	68%
3.	საწვავის ხარჯები	15,454.71	12,522.10	-19%
4.	წარმომადგენლობითი ხარჯები	1,090.00	1,013.20	-7%

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მთავრობის განკარგულების უფლებელყოფასა და საბიუჯეტო სახსრების აღნიშნული განკარგულების შეუსაბამოდ ხარჯვაზე²⁴.

²¹ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულება - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 და მე-3 პუნქტები, დანართის პირველი და მე-3 პუნქტები.

²² საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულება - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 და მე-3 პუნქტები, დანართის მე-6 პუნქტი.

²³ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულება - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 და მე-3 პუნქტები, დანართის მე-7 პუნქტი.

²⁴ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულება - „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მე-2 და მე-3 პუნქტები, დანართის მე-10 პუნქტი; საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შიდა კონტროლის შესახებ“, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

2.4 ხელფასის დარიცხვის საფუძვლები

მინისტრის ბრძანების²⁵ საფუძველზე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მთავარ სპეციალისტზე წლის განმავლობაში გაცემული დანამატის ოდენობამ ჯამში შეადგინა 3,000.00 ლარი. ბრძანების მიხედვით დანამატი გაცემული იყო „ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით“²⁶, თუმცა ბრძანებაში კონკრეტულად არ იყო მითითებული, რა განსაკუთრებული ფუნქციის შესრულება ევალებოდა თანამშრომელს. ამასთანავე, 2017 წლის 22 მაისამდე ორგანიზაციის მიერ არ იყო ნაწარმოები „სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელი“, ხოლო „მომსახურეთა აღრიცხვის ჟურნალის“ მონაცემებში არ ფიქსირდებოდა სამსახურში გამოცხადების და წასვლის დრო (საათი). 22 მაისიდან მინისტრის ბრძანებით²⁷ დამტკიცებულ და ნაწარმოებ ტაბელის ფორმაში, თანამშრომლის ზეგანაკვეთურად მუშაობის შემთხვევაში, უნდა მომხდარიყო „ზედმეტი სამუშაო საათების“ პირობითი მაჩვენებლის „ზს“²⁸ დაფიქსირება, თუმცა წარმოებულ „სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელში“ ზემოაღნიშნულ პიროვნებაზე ზეგანაკვეთურად მუშაობის პირობითი მაჩვენებელი არცერთ შემთხვევაში არ დაფიქსირებულა. ამდენად, აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა თანამშრომლის მიერ ზეგანაკვეთურად მუშაობის ფაქტები²⁹.

2.5 სახელმწიფო შესყიდვები

2017 წელს გაფორმებული 299 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებიდან 2 შემთხვევაში, ხოლო ხელშეკრულების შესრულების/შეუსრულებლობის დამადასტურებელი (მიღება-ჩაბარების აქტი, საგადასახადო ანგარიშფაქტურა) 414 დოკუმენტიდან 144 (ანუ 34.8%) შემთხვევაში, დარღვეული იყო შესაბამის ელექტრონულ სისტემაში დოკუმენტების ატვირთვის ვადები³⁰. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო შესყიდვებთან

²⁵ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2015 წლის 21 მაისის №153/ფ ბრძანება დანამატის დაწესების შესახებ.

²⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ მე-4 თავის „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია“ კოდი: 21114 „დანამატები“.

²⁷ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2017 წლის 22 მაისის ბრძანება №131/მ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელის დამტკიცების შესახებ“ პირველი პუნქტი.

²⁸ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2017 წლის 22 მაისის №131/მ ბრძანების „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში სამუშაო დროის გამოყენების და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელის დამტკიცების შესახებ“ დანართი №1-ის ცხრილი №3.

²⁹ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ №672 ბრძანების მე-4 თავის კლასიფიკატორის კოდი 21114 „დანამატები“.

³⁰ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2 „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტები; სახელმწიფო შესყიდვის სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13 „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის ბრძანება №12 „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 33-ე მუხლის მე-10 პუნქტი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის ბრძანება №2-ის „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი და მე-4 პუნქტები; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 22¹ მუხლის პირველი პუნქტი.

დაკავშირებით გამოვლენილ ფაქტებს ფინანსური შედეგების კუთხით რაიმე გავლენა არ ჰქონია, ფაქტობრივად არ იყო უზრუნველყოფილი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის დროულად შეტანა, რაც ქმნიდა საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანად განკარგვის რისკებს.

2.6 პროგრამების შესრულება

2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით დამტკიცებული 06 10 პროგრამის (06 10 09 - ფოტოკონკურსი „აფხაზეთის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები“ ქვეპროგრამის) ფარგლებში გათვალისწინებული იყო 3 გამარჯვებულის გამოვლენა და თითოეულისათვის საჩუქრად „ლეპტოპების“ შეძენა 770.00 ლარის ფარგლებში. ფოტოკონკურსის ფარგლებში შემოვიდა მხოლოდ ორი განცხადება, რომელიც კომისიამ განიხილა და ორივე გამარჯვებულად გამოაცხადა. თუმცა 2017 წელს „ლეპტოპების“ შეძენა შესაძლებელი იყო მხოლოდ კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, სადაც ერთეულის ფასი შეადგენდა 1,260.00 ლარს, რაც აღემატებოდა ქვეპროგრამით გათვალისწინებულ ღირებულებას, შესაბამისად, მინისტრის ბრძანებით ქვეპროგრამაში განხორციელდა ცვლილება და საჩუქრად შესყიდულ და გადაცემულ იქნა 729.99 ლარის ღირებულების მობილური ტელეფონები. ამრიგად, ქვეპროგრამის შეუსაბამოდ დაგეგმვა-შესრულების გამო ვერ მოხერხდა ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თანხის 42% -ის ათვისება³¹.

ამრიგად, ქვეპროგრამების დაგეგმვისა და შესრულების კუთხით არსებული ნაკლოვანებები მიუთითებს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სისუსტეებზე, რის გამოც ფაქტობრივად ვერ იქნა უზრუნველყოფილი გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში ქვეპროგრამის ეფექტიანი და პროდუქტიული შესრულება³².

2.7 წინა წლებში ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორების მდგომარეობა

მიმდინარე აუდიტით კვლავ დაფიქსირდა ისეთი ნაკლოვანებები, რომლებიც გამოვლინდა წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტებისას და რომელთა გამოსასწორებლად გაცემული იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესაბამისი რეკომენდაციები³³, კერძოდ:

ა) შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურება

შტატგარეშე მომუშავეთა დინამიკა ცხადყოფს, რომ წლის განმავლობაში მომუშავე მოსამსახურეთა ჯამური რაოდენობა წლების მიხედვით შემცირებულია, თუმცა მათზე გაცემული ანაზღაურება მნიშვნელოვნად არ შემცირებულა, მით უმეტეს, თუ

³¹ დაზუსტებული გეგმა - 2,500.00 ლარი, საკასო შესრულება - 1,459.98 ლარი.

³² საქართველოს კანონი - „სახელმწიფო შიდა კონტროლის შესახებ“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

³³ სას-ის 2017 წლის 10 მარტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2016 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში №7/36; სას-ის 2016 წლის 16 თებერვლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2015 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში №7/36; სას-ის 2015 წლის 9 თებერვლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2014 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში №2/129; სას-ის 2014 წლის 08 აპრილის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2013 წლის ფინანსური აუდიტის დამტკიცებული ანგარიში №5/129;

გავითვალისწინებთ იმას, რომ გარკვეული პერიოდით დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა შემცირდა და 2017 წელს ეს პროცესი არც დაფიქსირებულა. ამავე დროს მუდმივად დასაქმებულთა რაოდენობა იზრდებოდა და 2017 წელს ფაქტიურად ყველა შტატგარეშე მომუშავე მუდმივად დასაქმდა.

ცხრილი №4. შტატგარეშე მომუშავეთა დინამიკა 2014-2017 წლებში (ლარებში)

წელი	სულ მომუშავე		მუდმივად მომუშავე		გარკვეული პერიოდით	
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
2014	20	71,8	8	34,8	12	37,0
2015	27	122,2	14	95,1	13	27,1
2016	19	122,7	17	120,3	2	2,4
2017	18	120,9	18	120,9	0	0,0
ჯამი	84	437,6	57	371,1	27	66,5

ამრიგად, მდგომარეობის გამოსწორების კუთხით მიმდინარე წელს, ისევე როგორც წინა წლებში, ორგანიზაციის მიერ რაიმე სახის არსებითი ღონისძიება არ განხორციელებულა.

ბ) სახელმწიფო შესყიდვები

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაგვიანებით ატვირთული დოკუმენტების რაოდენობა 2016-2017 წლებში შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი №5. შესყიდვების ელ. სისტემაში დაგვიანებით ატვირთული დოკუმენტების რაოდენობა 2016-2017 წლებში (ლარებში)

დაგვიანებით ატვირთული	2016	2017
ხელშეკრულება	10	2
შესრულება/შეუსრულებლობის დოკუმენტ	259	144

მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით დაგვიანებით ატვირთული დოკუმენტების რაოდენობა შემცირდა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებული ხარვეზის სრულად აღმოსაფხვრელად სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებები მაინც არასაკმარისია.

გ) საბიუჯეტო დეფიციტის მართვა

საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების ძირითადი პრინციპების გათვალისწინებასთან დაკავშირებით, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი №6. საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით დადგენილი შეზღუდვებით გასათვალისწინებელი საკასო ხარჯების დინამიკა 2015-2017 წლებში (ლარებში)

№	ხარჯები	2014 წელი	2015 წელი	% 2015/ 2014	2016 წელი	% 2016/ 2014	2017 წელი	% 2017/ 2014
1	შრომის ანაზღაურება	579,642.00	583,776.00	1%	619,165.40	7%	617,421.56	7%
2	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	71,788.00	122,219.00	70%	122,736.61	71%	120,856.92	68%
3	საწვავის ხარჯები	15,454.71	12,634.50	-18%	10,090.63	-35%	12,522.10	-19%
4	წარმომადგენლობითი ხარჯები	1,090.00	885.00	-19%	733.10	-33%	1,013.20	-7%

2015, 2016 და 2017 წლებში „შრომის ანაზღაურების“ და „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლებით გაწეული საკასო ხარჯების ზრდა 2014 წლის მონაცემებთან შედარებით, იმ პირობებში, როდესაც ორგანიზაციაში აღნიშნულ პერიოდში ფუნქციები და კომპეტენციები არსებითად არ გაზრდილა, მიუთითებს, რომ სამინისტროს მიერ არ იყო გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგენილი შეზღუდვები და სას-ის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

საწვავის და წარმომადგენლობითი ხარჯების მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ დადგენილებით დაწესებული მოთხოვნები დაცული იყო მხოლოდ 2016 წელს, ხოლო 2015 და 2017 წლებში დადგენილებით მოთხოვნილი შეზღუდვები არ ყოფილა გათვალისწინებული.

3. სამინისტროს ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს

საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) შესაბამისად, ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთანავე, ჩვენ აგრეთვე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიზოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ სამინისტროს შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

